ქართველი მეფეები და მუსლიმები

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

ინსტრუქცია:

გაეცანით წყაროს და პასუხი გაეცით ქვემოთ მოცემულ შეკითხვას:

ყურადღება: *თითოეული შეკითხვის ბოლოს ფრჩხილებში მოცემულია, თუ რამდენი ქულით ფასდება სწორი პასუხი. (სულ 7 ქულა)*

არაბი მემატიანე ალ-ფარიკი, XII ს.

"როდესაც განადგურდა **ნაჯმ ად-დინი**[1] და უკან გაბრუნდა იმათთან ერთად, ვინც გადარჩა, გაემართა მეფე აფხაზთა ნადავლითა და ტყვეებით, დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰყავდა. შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით, გადაწვა იგი და გაძარცვა. სამი დღის შემდეგ დაუზავდა მის მცხოვრებლებს და მოალბო მათი გულები. აღუთქვა მათ წყალობა და მოუხსნა იმ წლის **ხარაჯა**[2], დაუდო მუსლიმებს ყველა პირობა, რაც მათ მოისურვეს იმ პირობათაგან, რომლებიც ძალაშია ახლაც: რომ არ გამოვიდოდა იმ ქალაქის მუსლიმთა უბანში ღორი, არ დაიკვლებოდა იქ და არც ბაზარზე იქნებოდა გასაყიდად; მოუჭრა მათ **დირჰემები**[3]**,** რომლის ერთ მხარეზე სულთნისა და ხალიფას სახელები იყო ამოტვიფრული, მეორე მხარეზე - სახელი ალაჰისა და სახელი წინასწარმეტყველისა - მშვიდობა მას - და მისი (მეფის) სახელი კი დირჰემის კიდეზე. ქალაქში გამოცხადდა, რომ, ვინც მუსლიმს რაიმე ვნებას ან ზიანს მიაყენებდა, ნებას რთავდა, გაუსამართლებლად მოეკლათ. პირობა დაიდო, რომ აშკარად შეიძლებოდა **აზანის**[4]**...** შესრულება და ყურანის კითხვა. რომ წარმოეთქვათ **ხუტბა**[5] პარასკეობით, ელოცათ და მოეხსენიებინათ ხალიფა და სულთანი და **მინბარიდან**[6] მათ გარდა არავინ არ მოეხსენიებინათ. დაუდო პირობა, რომ თბილისში ისმაილის აბანოში არ შევიდოდა არც ქართველი, არც სომეხი და არც იუდეველი. და განსაზღვრა ამ წელს ქართველის სამსახური 5 დინარით, იუდეველისა - 4 დინარით, მუსლიმისა - 3 დინარით. მეფემ მუსლიმებს უდიდესი პატივი მიაგო. მეცნიერებს, ღვთისმეტყველებს და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონიათ თვით მუსლიმებთანაც კი. მე ვნახე, რომ ყველა ეს პირობა ძალში იყო მაშინაც, როცა ჩამოვედი თბილისში, 1153 წელს. მე ვნახე აბხაზთა მეფე დიმიტრი, რომლის სამსახურშიც ვიმყოფებოდი, როგორ ჩამოხდა თბილისში და დარჩა იქ რამდენიმე ხანს. ერთ

---

[1] **ნაჯმ ად-დინ ილღაზი** - გარდაიცვალა 1122 წელს — ცნობილი თურქი სარდალი და მხედართმთავარი (ამირა), თურქული ქალაქ მარდინის მფლობელი. ჯვაროსანთა წინააღმდეგ მებრძოლი. „ილღაზი“ არაბულად ნიშნავს ხალხისთვის მებრძოლს.

[2] **ხარაჯა** - არაბული გადასახადი. ამ სიტყვიდან მომდინარეობს ქართული - ხარჯი.

[3] **დირჰამი** - არაბული ვერცხლის ფულის ერთეული.

[4] **აზანი** - (არაბ. - მოწოდება) - მუსლიმებში ლოცვისკენ მოწოდება.

[5] **ხუტბა** - (არაბ. შექება, ქება-დიდება.) მუსლიმური ლოცვა, ასევე სიტყვა, გამოსვლა, ქადაგება. ამ რიტუალს ასრულებს მუსლიმთა მოძღვარი (იმამი) მეჩეთში პარასკევის შუადღის ღვთისმსახურების დროს. ის, ასევე სრულდება რელიგიური დღესასწაულების დროს. ამ სიტყვიდან მომდინარეობს ქართული - ხოტბა.

[6] **მინბარი** - (არაბ. კათედრა მეჩეთში). ამაღლებული ბაქანი მეჩეთში, საიდანაც სასულიერო პირი ქადაგებს.

პარასკევ დღეს იგი მივიდა საკრებულო მეჩეთში, დაჯდა ქვის საჯდომზე **ხატიბის**[7] პირდაპირ და ფეხი არ მოუცვლია, ვიდრე არ ჩაათავეს ხუტბა ხატიბმა და ხალხმა. მთელი ხუტბა მოისმინა, შემდეგ გავიდა და შესწირა საკრებულო მეჩეთს 200 დინარი. მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები და მლოცველები, რომელთაც პატივით იღებდა იგი და ასაჩუქრებდა. ისე კეთილად ექცეოდა, რის მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე იქ ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ... მასთან ერთად გავემგზავრე თბილისიდან მის ლაშქარში მყოფი. მეფემ დაიწყო თავისი სამფლობელოების შემოვლა კიდით კიდემდე; ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა. მეც მასთან ვიყავი. ერთ დღეს, როდესაც ჩვენ გავჩერდით დარუბანდის ვილაიეთში... მეფემ დატოვა ლაშქარი კოშკში მთის ძირას. დარუბანდის მეფე - იგია ამირა აბულ მუზაფარი - გამოვიდა აბხაზთა მეფის სამსახურად და აახლა მას მსახურნი მისი იქ ყოფნისა და ლხინისათვის, რადგანაც იგი იყო სიძე აბხაზთა მეფისა - ცოლად ჰყავდა მისი ასული...“

შეკითხვები:

1. **რომელ ბრძოლაში განადგურდა ნაჯმ ად-დინი? (1 ქულა)**

---

2. **„შევიდა ქალაქში მახვილით, გადაწვა იგი და გაძარცვა. სამი დღის შემდეგ დაუზავდა მის მცხოვრებლებს და მოალბო მათი გულები.“ თქვენი აზრით, რატომ დასჭირდა დავითს თბილისის აოხრება, ხოლო შემდეგ თბილისელების „გულების მოლბობა“? (1 ქულა)**

---

[7] **ხატიბი** - (არაბ. „მქადაგებელი“, „ორატორი“). მუსლიმი სასულიერო პირი, რომელიც პარასკევის ლოცვას აღავლენს.

3. **„მოუჭრა მათ დირჰემები, რომლის ერთ მხარეზე სულთნისა და ხალიფას სახელები იყო ამოტვიფრული, მეორე მხარეზე - სახელი ალაჰისა და სახელი წინასწარმეტყველისა - მშვიდობა მას - და მისი (მეფის) სახელი კი დირჰემის კიდეზე“. თქვენი აზრით, რატომ აჭრევინებდა დავითი ფულს მუსლიმი მმართველების სახელზე და რატომ იყო ამოტვიფრული მისი სახელი მონეტის მხოლოდ კიდეში? (1 ქულა)**

---

4. **„მე ვნახე იქ ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ...“ თქვენი აზრით, რა პოლიტიკური მიზეზით ექცეოდნენ დავითი და დემეტრე თბილისელ მუსლიმებს ასე ლმობიერად? (1 ქულა)**

---

5. **„და განსაზღვრა ამ წელს ქართველის სამსახური 5 დინარით, იუდეველისა - 4 დინარით, მუსლიმისა - 3 დინარით“. თქვენი აზრით, რაზე მიუთეთებს ეს ფრაზა? (1 ქულა)**

---

6. **XII საუკუნის რუკაზე მონახეთ დარუბანდი და იმსჯელეთ, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა დემეტრესთვის მის განმგებელთან დამოყვრებას? (1 ქულა)**

---

7. **თქვენი აზრით, გარდა იმისა, რომ დარბანდის (დარუბანდის) მეფეს - ამირა აბულ მუზაფარს ცოლად ჰყავდა დემეტრეს ქალიშვილი, კიდევ რით იყო გამოწვეული მატიანეში აღწერილი მისი დამოკიდებულება დემეტრე მეფისადმი? (1 ქულა)**